

**„საქართველოს მთავრობასა და
კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის
შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და
გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის“
შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით უწყებების მიერ
წარმოდგენილი შენიშვნების განხილვის
შედეგების ცხრილი**

შენიშვნის ავტორი	შენიშვნა	შედეგი
1.	2.	3.
<p>საგარეო საქმეთა სამინისტრო (15.10.09 №2/15467-14)</p>	<p>1. სამინისტრომ განიხილა „საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმების“ პროექტი და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წარმოდგენილი შეთანხმების დადება.</p>	<p>- შენიშვნა მხედველობაშია მიღებული.</p>
<p>იუსტიციის სამინისტრო (27.09.10 №1950)</p>	<p>1. შეთანხმების მე-2 მუხლის პირველ პუნქტში ტერმინი „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები“ შეესაბამება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ თვითმმართველ ერთეულებს.</p> <p>2. შეთანხმების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „d“ ქვეპუნქტის ტერმინი „პირის“-ს განმარტებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული დებულებები. აღსანიშნავია, რომ ტერმინი „კომპანია“ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის გათვალისწინებული, ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, ტერმინი „კომპანია“ განმარტებულია, როგორც უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი წარმონაქმნი.</p> <p>3. ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად საქართველოს საწარმოდ ითვლება საწარმო, რომლის საქმიანობის ან/და მართვის ადგილი საქართველოშია.</p>	<p>- შენიშვნა გათვალისწინებულია</p> <p>- ამ შეთანხმების მიზნებისათვის ტერმინი „კომპანია“ მოიცავს ორივე ხელშემკვრელი სახელმწიფოს კორპორაციულ ერთეულებს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ განმარტავენ ეს სახელმწიფოები ამ ტერმინს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობებით.</p> <p>- შეთანხმების მიხედვით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს საწარმოდ განხილვა დაკავშირებულია ამ საწარმოს მფლობელის რეზიდენტობის დადგენასთან. რეზიდენტობა განიხილება შეთანხმების მე-4 მუხლის მიხედვით, რომელიც მოიცავს ასევე ისეთ კრიტერიუმებს, როგორცაა საქმიანობის ან/და მართვის ადგილი. შესაბამისად ეს დებულება არ</p>

ქ. სოხუჩი 07.10.2015

	<p>4. ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის მე-15 ნაწილი, რომლის თანახმად, საერთაშორისო გადაზიდვა ნიშნავს ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვასა და მგზავრთა გადაყვანას და არა მხოლოდ საზღვაო გემით, თუ საჰაერო ხომალდით, როგორც ეს შეთანხმებითაა გათვალისწინებული.</p> <p>5. შეთანხმების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი სამშენებლო მოედანს, სამონტაჟო ან საამწყობო ობიექტს მიიჩნევს მუდმივ დაწესებულებასთან გათანაბრებულ ობიექტად მისი არსებობის დროის მიუხედავად.</p> <p>6. შეთანხმების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიმართ გასათვალისწინებელია, რომ საზღვაო გემები და საჰაერო ხომალდები „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად არ განიხილება, როგორც მოძრავი ნივთი, შესაბამისად, მასზე ვრცელდება უძრავი ნივთის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.</p> <p>7. შეთანხმების მე-10 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები საქართველოს საგადასახადო კოდექსის 195-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, საქართველოს საწარმოს მიერ ფიზიკური პირისათვის ან უცხოური საწარმოსთვის გადახდილი დივიდენდები ექვემდებარება დაბეგვრის გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 0-პროცენტიანი განაკვეთით.</p> <p>8. აქვე გაცნობებთ, რომ რამდენადაც შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობისგან განსხვავებულ წესებს, „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ მე-2 მუხლის მე-7 ნაწილისა და „საქართველოს</p>	<p>მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს საგადასახადო კოდექსთან.</p> <p>- ამ შეთანხმების მიზანია განსაკუთრებული შეღავათები მიანიჭოს საერთაშორისო გადაზიდვების მხოლოდ აღნიშნულ სახეებს: გადაზიდვებს საზღვაო გემებით და საჰაერო ხომალდებით. შესაბამისად განისაზღვრა აღნიშნული ტერმინი ამ შეთანხმების მიზნებისათვის.</p> <p>- OECD-ს მოდელის აღნიშნული დებულება ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს, არამედ ხშირ შემთხვევაში, სხვა ქვეყნების შიდა კანონმდებლობებსაც. OECD-ს მოდელით რეკომენდირებულ პერიოდი მოიცავს 12 თვეს. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე ვადა შემცირდა და მე-5 მუხლის (მუდმივი დაწესებულება) მე-3 პუნქტის მიხედვით, სამშენებლო ობიექტი მუდმივ დაწესებულებად ითვლება მისი დაარსებიდან 6 თვის შემდეგ.</p> <p>- საქართველოს პარლამენტის მიერ შეთანხმების რატიფიცირების შემთხვევაში, მის დებულებებს ექნებათ უპირატესი იურიდიული ძალა შიდა-სახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან მიმართებაში.</p> <p>- მე-10 მუხლის პირველი პუნქტით დგინდება, რომ მეორე სახელმწიფოს ნებისმიერი რეზიდენტიანთვის გადახდილი დივიდენდები არ დაიბეგრება წყაროსთან. შესაბამისად შეთანხმება არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს საგადასახადო კოდექსთან.</p> <p>- შენიშვნა გათვალისწინებულია.</p>
--	---	--

ქსოიჭ 07.10.2015

	<p>საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოდგენილი შუთანხმების პროექტი ექვემდებარება საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებას.</p>	
<p>ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (28.09.2010. №17/2647/3-10)</p>	<p>შუთანხმების პროექტის მიმართ შენიშვნები არ არის.</p>	
<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 8.11.2010 №05.01/</p>	<p>შუთანხმების პროექტის მიმართ შენიშვნები არ არის.</p>	

ქ.სომხია 07.10.2015